თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8131894

ნომერი: AR11159250

თარიღი : 09.09.2026

გაცემის თარიღი : 22.10.2026

გაცნობის თარიღი : 23.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჭანტურია პ/ნ 01024009503
- თბილისი პეკინის გამზ. I კვ. კორ. 6ბ ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 9 სექტემბრის №AR11159250 განცხადებით მომართა ქეთევან ჭანტურიამ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის

12 ივლისის №3392863 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებით, №01.14.11.029.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ამავე სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4471884 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა საცხოვრებელი ფართობი: 9440.5 კვ.მ, კომერციული ფართობი: 2775.7 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 2058.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 2922.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1256.8 კვ.მ. საერთო ფართობი: 18936.5 კვ.მ. ასევე, შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა AR1668952 განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ცალკე არ არის დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები მე-4 შენობისთვის. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მე-4 შენობისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირება შესაძლებელია. ამასთან, სამსახურმა დაადგინა მე-4 შენობისთვის საზაფხულო ფართობის (351.6 კვ.მ.) დამატება გამოიწვევს მე-4 შენობის საერთო ფართობის ცვლილებასაც და იქნება 431.7 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:
* განაშენიანების ფართობი:
შენობა №1, №2 და №3 - 1741.7 კვ.მ;
შენობა №4 - 120.7 კვ.მ;
*საერთო ფართობი:
შენობა N1, N2 და N3 - 18 426.4 კვ.მ
შენობა №4 - 431.7 კვ.მ.
*დამხმარე ფართობი:
შენობა №1, №2 და №3 - 114.5 კვ.მ
შენობა №4 - 80.1 კვ.მ
*საზაფხულო ფართობი :
შენობა №1, №2 და №3 - 2177.2 კვ.მ
შენობა №4 - 351.6 კვ.მ
*სამშენებლო მოცულობა :
შენობა N1, N2 და N3 - 66 899.61 მ3
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 58 749.01
0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8 150.6
შენობა №4 - 245.39
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).:. 125.69
0.0 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 119.7

*შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).:

შენობა N1, N2 და N3 – 59.7 მ.
0.0 ნიშნულის ზევით (მ).: 53.7 მ.
0.0 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.0 მ.

შენობა №4 – 6. 7 მ
0.00 ნიშნულის ზევით (მ): 4 მ.
0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 2.7 მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებით შეთანხმებული +8.70 (+9.40) და +11.47 (+13.00) ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 და 2019 წლის 22 აპრილის № 4471884 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.